1910 - იან წლებში მნიშვნელოვანი განვითარება მოხდა ისტორიული ფილმების წარმოებაში, რაც შთაგონებული იყო ანტიკური ხანის ან Risorgimento-ს (აღორძინების ეპოქის) მოვლენებით. ფილმმა Quo vadis? (სად მიდიხარ?), რომელიც 1913 წელს, ენრიკო გუაძონის რეჟისორობით იქნა გადაღებული, მსოფლიო წარმატებას მიაღწია, მაგრამ ამ მიმართულებით გადამწყვეტი როლი ითამაშა ჯოვანი პასტრონეს მიერ იმ პერიოდში გადაღებულმა ფილმმა - ”კაბირია“ (1914), რომელიც იყო პირველი გრანდიოზული ფილმი კინემატოგრაფიის ისტორიაში.

როგორც ჩანდა, კინო ყველას იზიდავდა, ფიგურატიული ხელოვნების სამყაროშიც კი. ფუტურისტებმა, ფუტურიზმის წევრებმა - იტალიური ავანგარდული არტისტული მოძრაობის მიმდევრებმა, დაწერეს მანიფესტი La cinematografia futurista (ფუტურისტული კინემატოგრაფია, 1916), რომელშიც მოუწოდებდნენ კინოკამერის შემოქმედებითი და დინამიური გამოყენებისკენ და აკრიტიკებდნენ თანამედროვე კინოს, როგორც ძველს, მოძველებულს, ძალადაკარგულს და არაავთენტურს.

ფოტო და კინორეპორტიორი ლუკა კომერიო, გატაცებული პროგრესის და სამხედრო ტექნოლოგიების იდეით, ასევე მოხიბლული იყო კინოინდუსტრიით და უბიძგებდა გამოხატვის ახალი ფორმების განვითარებისკენ. ის ფრონტზე აკვირდება იტალიურ ჯარებს კოლონიური ომებისა და პირველი მსოფლიო ომის დროს და დრამატიზმით მდიდარ სურათებს გვთავაზობს. მეოცე საუკუნის დასაწყისის იტალიის ისტორიული და კულტურული მოვლენების დაკვირვებული მომსწრე - კომერიო, ფილმში Resistere! (წინააღმდეგობა) მოგვითხრობს იტალიელი ხალხის ძალისხმევაზე საომარი ვალის გადახდისას.

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA